საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №51/ნ
2017 წლის 16 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 დეკემბრის №160/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 დეკემბრის N160/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2014, 480180000.22.022.016895) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-9 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

„10. დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი:

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას;

ბ) დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) სამუშაო გამოცდილება – არანაკლებ 5 წელი;

ბ.გ) განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება – არანაკლებ 2 წელი;

ბ.დ) პროექტების მართვის გამოცდილება;

ბ.ე) ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება – არანაკლებ 1 წელი;

ბ.ვ) უცხოური ენის (ინგლისური/ რუსული) კარგად ცოდნა;

ბ.ზ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office PowerPoint; Microsoft Office Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.თ) სასურველია:

ბ.თ.ა) საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება;

ბ.თ.ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება;

გ) დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის ვაკანტური

თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;

გ.ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.გ) კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;

გ.დ) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება;

გ.ე) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ნოემბრის №170/ნ ბრძანება;

დ) დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა იცნობდეს შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

დ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

დ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

დ.გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ.დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

დ.ე) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

დ.ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ.

11. დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების განვითარების სამმართველოს სპეციალისტი (შემდგომში – სპეციალისტი);

ა) კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

ბ) სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ბ.ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ.ბ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word; Microsoft Office Excel; Microsoft Office PowerPoint; Microsoft Office Outlook) კარგად ცოდნა;

ბ.გ) უპირატესობა მიენიჭება პირს:

ბ.გ.ა) რომელიც ფლობს უცხო ენებს (ინგლისური, რუსული);

ბ.გ.ბ) რომელსაც აქვს საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება.

გ) სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

გ.გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

გ.დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.ე) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ.ვ) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება;

გ.ზ) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 4 ნოემბრის №170/ნ ბრძანება;

გ.თ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

გ.ი) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**